



საქართველოს წყლის რესურსების მართვის შესახებ ეროვნული პოლიტიკური დიალოგის საკოორდინაციო
კომიტეტის მესამე სხდომა

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესის შესახებ“

თავი I. ძირითადი დებულებები

მუხლი 1. წესის მოქმედების სფერო

- წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესი შედგენილია „ევროკავშირის ჩარჩო დირექტივის „წყლის შესახებ“ (ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 22 დეკემბრის ჩარჩო დირექტივა „წყლის შესახებ“ (2000/60/EC)) მე-8 მუხლისა და V დანართის მოთხოვნების გათვალისწინებით.

წესი განსაზღვრავს:

- ა) ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების კომპლექსურ სისტემას წყლის რესურსების გრძელვადიანი გამოყენებისა და მართვის მიზნით სინჯების აღების, ანალიზისა და სინთეზის პროცედურებისა და ტექნიკური ღონისძიებების გამოყენებით;
- ბ) ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მდგომარეობის მონიტორინგის პროგრამების შემუშავების, განახლებისა და განხორციელების პროცედურებს, პასუხისმგებლობასა და ამოცანებს;
- გ) მონიტორინგის პროგრამების და პარამეტრების, სინჯების აღების ტექნიკური პროცედურების და თითოეული პარამეტრის ანალიზის, ხარისხის კონტროლის, ლაბორატორიული პრაქტიკისა და მონაცემთა მართვის ძირითად მოთხოვნებს.

მუხლი 2. წესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- წყლის მონიტორინგი - ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტების ჰიდროლოგიურ, ჰიდროქიმიურ, ეკოლოგიურ და ჰიდრომორფოლოგიურ მდგომარეობაზე, აგრეთვე ჩამდინარე წყლებში წყლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მდგომარეობაზე რეგულარული დაკვირვებისა და ინფორმაციის ანალიზის ერთიანი სისტემა, რომლის მიზანია ინფორმაციის მიღება წყლისა და მისი ობიექტების მდგომარეობის შესახებ, მისი გარემოსთან (ბუნებრივ და ანთროპოგენულ) ურთიერთქმედების, წყლის რესურსების და მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის შეფასება, წყლის მავნე ზემოქმედების (წყალდიდობის, ღვარცოფის, მეწყერის და სხვა) პროგნოზირება და სხვა.
- მონიტორინგის პროგრამა
- წყლის ხარისხის მაჩვენებლები
- ეროვნული მონიტორინგის სისტემა

მუხლი 3. მონიტორინგის სახეები (I)

დაკვირვებითი მონიტორინგის მიზანია წყლის მდგომარეობის შეფასება თითოეული ჰიდროგრაფიული აუზის ფარგლებში. დაკვირვებითი მონიტორინგი იძლევა ინფორმაციას ზემოქმედების შეფასების პროცედურების დასამტკიცებლად, შემდგომი მონიტორინგის პროგრამების ეფექტურად დაგეგმვისათვის, წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების ტენდენციების განსაზღვრისათვის, აგრეთვე სახელმწიფო მონიტორინგის სისტემის ოპტიმიზაციისა და გაუმჯობესების დასაბუთებისათვის.

მუხლი 3. მონიტორინგის სახეები (II)

ოპერატიული მონიტორინგის მიზანია განსაზღვროს ის წყლის ობიექტები, რომლებიც დაკვირვებითი მონიტორინგის დროს გამოვლენილი იქნა როგორც რისკის ქვეშ მყოფი წყლის რესურსები, აგრეთვე შეაფასოს სააუზო მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების პროგრამის განხორციელების შედეგად მიღებული ცვლილებები.

მუხლი 3. მონიტორინგის სახეები (III)

გამოძიებითი მონიტორინგი ადგენს წყლის ხარისხის მიმართ წაყენებული ზღვრების გადაჭარბების მიზეზებს, რომელთა გამოც წყლის ობიექტი ვერ აღწევს მიზნობრივ მაჩვენებლებს იქ, სადაც დაკვირვებითი მონიტორინგი აჩვენებს, რომ წყლის ობიექტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ვერ იქნება მიღწეული, ხოლო ოპერატიული მონიტორინგი ჯერ არ არის დადგენილი, აგრეთვე განსაზღვრავს ავარიული დაბინძურების ზემოქმედების მასშტაბებს. გამოძიებითი მონიტორინგი იძლევა საჭირო ინფორმაციას მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევისათვის ღონისძიებების პროგრამის და ავარიული დაბინძურების შედეგების ლიკვიდაციის სპეციალური ღონისძიებების შემუშავებისათვის.

თავი II. წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგი

- 1. წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის სისტემა მოიცავს მონიტორინგის ერთიან ეროვნულ ქსელს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ჰიდროქიმიური, ჰიდრობიოლოგიური და ჰიდრომორფოლოგიური მონიტორინგის პროგრამების განხორციელება.
- 2. მონიტორინგის ქსელი უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იძლეოდეს თითოეული მდინარის აუზში ეკოლოგიური და ქიმიური მდგომარეობის ნათელ და სრულყოფილ სურათს, და ასევე, წყლის ობიექტების ხუთ ჯგუფად კლასიფიკაციის შესაძლებლობას.
- 3. წყლის სახელმწიფო მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“.
- 4. წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის პროგრამებს ამტკიცებს წყლის რესურსების მართვის პასუხისმგებელი ცენტრალური ორგანო - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

თავი III. ზედაპირული წყლების მონიტორინგი

მუხლი 1. ზედაპირული წყლების
რაოდენობრივი და ხარისხობრივი
მონიტორინგი

მუხლი 2. მონიტორინგის
პარამეტრები და ჩატარების სიხშირე

მუხლი 3. ზედაპირული წყლების
ხარისხის მონიტორინგის ქსელი

თავი IV. მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი

მუხლი 1. მიწისქვეშა წყლების
მონიტორინგის მიზნები და ამოცანები

მუხლი 2. მონიტორინგის სახეები და
ჩატარების სიხშირე

მუხლი 3. მიწისქვეშა წყლების
მონიტორინგის პუნქტების შერჩევის
კრიტერიუმები

მუხლი 4. მონიტორინგის
პერიოდულობა

თავი V. მონიტორინგის პროგრამები

- მონიტორინგის პროგრამების შემუშავება ხდება ყოველწლიურად;
- გარემოს ეროვნული სააგენტო სამინისტროს წარუდგენს დასამტკიცებლად მომდევნო წლის მონიტორინგის პროგრამას არა უგვიანეს 1 ნოემბრისა;
- მონიტორინგის პროგრამები გადაიხედება დაბინძურების ან მნიშვნელოვანი დეგრადაციის გამოვლენის შემთხვევაში.

თავი VI. წყლის მონიტორინგის ტექნიკური პროცედურები

- სინჯების აღების, ქიმიური ანალიზების, საველე გაზომვების მეთოდები უნდა შეესაბამებოდნენ ISO 17025 ან სხვა ანალოგიურ სტანდარტს;
- ლაბორატორიები უნდა იყენებდნენ ხარისხის მართვის სისტემას ISO 17025 სტანდარტის ან სხვა ანალოგიური საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად;
- ლაბორატორიები უნდა ახდენდნენ კომპეტენტურობის დემონსტრირებას ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზების ჩატარებისას ტესტირებების ეროვნულ და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობით.

თავი VII. მონაცემთა დამუშავება და შენახვა, მონიტორინგის შედეგების წარდგენა

- გარემოს ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის მონაცემების დამუშავებასა და დამტკიცებაზე;
- დამტკიცების შემდეგ მონიტორინგის მონაცემები რეგულარულად მიეწოდება შესაბამის ორგანოებს აუზების მართვის ერთიან პლატფორმაში ინტეგრაციისათვის;
- მონიტორინგის შედეგები უნდა იქნას წარმოდგენილი რუკების სახით, რომლებიც გამოიყენება სააუზო მართვის გეგმებში და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონიტორინგის ქსელისა და ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მდგომარეობის შესახებ

დანართები

დანართი 1. მონიტორინგის ქიმიურ-ფიზიკური პარამეტრები და ანალიზის მეთოდები

დანართი 2. ჰიდრობიოლოგიური პარამეტრები

დანართი 3. ფიზიკურ-ქიმიური და ჰიდრობიოლოგიური პარამეტრების სინჯების აღების სიხშირე

დანართი 4. მიწისქვეშა წყლების დახასიათების ელემენტები

დანართი 5. მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის პარამეტრები

მადლობა ყურადღებისთვის